თემა: ილიაუნის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის ეფექტურობის კვლევა

ლაზარე კალანდია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქოტრავმატოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი დარეჯან ჯავახიშვილი

თანახელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნინო მახაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლაზარე კალანდია, 25.01.2021

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომის მიზანია შეაფასოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის ეფექტურობა.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი შეიქმნა 2019 წელს, იგი დაკომპლექტებულია ამავე უნივერსიტეტის ფსიქიკური ჯანმრთელობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული 4 ფსიქოკონსულტანტით. ცენტრი ემსახურება სტუდენტებს, რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა ფსიქო-ემოციური თუ ქცევითი სირთულეები. სერვისი მუშაობდა პირისპირ შეხვედრების ფორმატით, 2020 წლის გაზაფხულიდან კი გადავიდა ონლაინ კონსულტირების რეჟიმში.

ნაშრომი წარმოადგენს 2 წლის წინ ჩატარებული სტუდენტური ფსიქოკონსულტირების ცენტრის ეფექტურობის შეფასებაზე მიმართული კვლევის მეორე ეტაპს. ამჟამინდელი ეფექტურობის შეფასებასთან ერთად ცდილობს დაადგინოს დროის ამ პერიოდში განხორციელებული ცვლილებები და ის, თუ რამდენად იქნა გათვალისწინებული კვლევის პირველი ეტაპის საფუძველზე გაცემული რეკომენდაციები.

კვლევა ჩატარდა შერეული მეთოდით და მოიცავდა რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივი კომპონენტის ფარგლებში დამუშავდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს მომხმარებელთა მდგომარეობის პრე და პოსტ შეფასებებს. ასევე შემუშავებულ იქნა სპეციალური რაოდენობრივი კითვარი, რომელიც შეავსო 21-მა რესპოდენტმა (სერვისის მომხმარებლებმა). კვლევის თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა ფოკუს- ჯგუფი

სერვისის 4 ფსიქოკონსულტანტთან, ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუ სერვისის 10 მომხმარებელთან.

კვლევის შედეგები ავლენს, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი შედეგიანად ემსახურება სტუდენტებს. ამას ადასტურებს კონსულტირებამდე და კონსულტირების შემდეგ შეფასების შედეგების შედარების საფუძველზე გამოვლენილი დადებითი დინამიკა კვლევის რაოდენობრივ კომპონენტში. გარდა ამისა, სტუდენტები ამჩნევენ საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას კონსულტირების შედეგად, რაც გამოვლინდა ჩაღრმავებული ინტერვიუებით. კვლევის ფარგლებში, ასევე, შევაფასეთ სერვისის დახვეწისა და განვითარების თვალსაზრისით არსებული საჭიროებები და ჩამოვაყალიბეთ შესაბამამისი რეკომენდაციები.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ფსიქოკონსულტირების ცენტრის მომსახურების დასახვეწად. ასევე, კვლევამ შესაძლოა ხელი შეუწყოს საქართველოს სხვა უნივერისტეტებში მსგავსი სერვისების შექმნა-განვითარებას.

საძიებო სიტყვები:

ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრი, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ფსიქიკური აშლილობები,

Abstract

The purpose of this research is to evaluate effectivity of Ilia State university's student's psychological counseling center.

Ilia State University Psychological Counseling Center was established in 2019, it is staffed with 4 psychoconsultants who graduated the Master of Mental Health program of the same university. The center serves students who have various psycho-emotional or behavioral difficulties. The service worked in the format of face-to-face meetings, in the spring of 2020 it switched to online consultation mode.

It represents second stage of a study, which was performed 2 years ago and along with evaluating effectivity, tries to find changes, recommendations, which were taken into account and maintained barriers. The study was conducted by the mixed method and included qualitative and quantitative components. Within the quantitative component, a database of the Consulting Center, which contained pre- and post-assessments of the customers' condition, was processed. A quantitative service evaluation questionnaire was also prepared and evaluated by 21 respondents. As for the qualitative research, a focus group was conducted with 4 psychoconsultants of the service and in-depth interviews with 10 users of the service.

The data obtained as a result of the research show that Ilia State University's Psychological Counseling Center provides effective services to students. This is confirmed by the results of the pre- and post-consultation intervention assessments. Effective results were also found in the case of quantitative questionnaires and in-depth interviews.

Students experience improvement as a result of counseling services. As part of the research, we discussed current service needs and future recommendations.

The results of the study are important in terms of improving service performance. The research may also facilitate similar practices in other universities in Georgia.

Key words:

Mental health, mental health difficulties, psycho counseling center, mental health problems.

მადლობა

მადლობას ვუხდი კვლევის ხელმძღვანელს ქ-ნ დარეჯან ჯავახიშვილს, თანახელმძღვანელს ქ-ნ ნინო მახაშვილს, ასევე პროექტის „ილიაუნის სტუდენტთა ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის ეფექტურობის კვლევა“ მეცნიერ-თანამშრომელს ქ-ნ ანა ბერუჩაშვილს გაზიარებული გამოცდილების, დახმარებისა და მხარდაჭერისთვის. ასევე მადლობა, ფსიქოლოგიური კონსულტირების ცენტრის კონსულტანტებსა და მომხმარებელ სტუდენტებს კვლევის მიმდინარეობისას აქტიური თანამშრომლობისთვის.